სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/180

ქ. თბილისი 8 დეკემბერი 2022წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად პროფესორის მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დირექტორის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეულ იქნეს პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე (პ/ნ 65007000314)-135 სთ. I სემესტრი - 45 სთ, II სემესტრი - 75 სთ;
2. მოწვეული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 36 ლარის ოდენობით, ხოლო მოწვეული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება - საათში 27 ლარის ოდენობით.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**
აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**